ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ლელო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО

ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1985 Წ.
№ 13 (7824) ● ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ



ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲐᲣᲖᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲪᲣᲠᲕᲐᲨᲘ. ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲜ ᲐᲭᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ, ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ, ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ, ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲛᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲐ.

ᲓᲦᲔᲡ ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲨᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ IX ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲢᲠᲐᲛᲞᲚᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲮᲢᲝᲛᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲘᲖᲖᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲛᲝᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ, 70-ᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜ ᲢᲠᲐᲛᲞᲚᲘᲜᲖᲔ.

„ᲚᲔᲚᲝᲡ" ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲛ ᲓᲐᲐᲬᲔᲡᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲨᲝᲠᲘ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

ᲡᲐᲓᲔᲑᲘᲣᲢᲝ „ᲓᲣᲔᲚᲘ" ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

16 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ კარპოვ-კასპაროვის მატჩში გათამაშდა ორმოცდამეორე პარტია, რომელიც სამსაათიანი ბრძოლის შემდეგ ყაიმით დასრულდა.

მიუხედავად იმისა, რომ მატჩი უკვე მეხუთე თვეა გრძელდება და მეტოქენი ალბათ საკმაოდაც დაიღალნენ, მძაფრი შემოქმედებითი დუელი მაინც არ ცხრება. დიდოსტატები თითქოს ერთმანეთს უმტკიცებენ, რომ ლაზიერის გამბიტში ტარტაკოვერ-მაკოგონოვ-ბონდარევსკის სისტემა დღესაც სიცოცხლისუნარიანია. შავი ფიგურებით თამაშის დროს მას ხან ერთი მეტოქე იყენებს, ხან მეორე. ამჯერად იგი კარპოვმა აირჩია.

პრინციპული დავა დიდოსტატებმა მე-16 სვლიდან დაიწყეს, მანამდე კი უბრალოდ გაიმეორეს ოცდამეცხრამეტე პარტიის „უვერტიურა". კარპოვმა ახალი გაგრძელება აირჩია. კასპაროვი შესანიშნავად თამაშობდა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა მაინც შეძლო რამდენიმე ფიგურის, მათ შორის ლაზიერის გაცვლა. ბოლოს კასპაროვმა შავების პოზიციაში გამხოლოებული პაიკი შექმნა, მაგრამ მისი გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ერთ მომენტში კასპაროვმა პაიკიც მოიგო, მაგრამ მალე უკან დააბრუნა. თანაბარ პოზიციაში მეტოქენი დაზავდნენ.

გაეცანით ამ პარტიის მსვლელობას.

ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ — ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ

ლაზიერის გამბიტი

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 d5 4. მc3 კe7 5. კg5 h6 6. კh4 0—0 7. e3 b6 8. კe2 კb7 9. კ:f6 კ:f6 10. cd ed 11 b4 c5 12. bc bc 13. ეb1 კc6 14. 0—0 მd7 15. კb5 ლc7 16. ლc2 ეfc8 17. ეfc1 კ:b5 18. მ:b5 ლc6 19. dc მ:c5 20. ლf5 ლe6 21. მfd4 ლ:f5 22. მ:f5 მe6 23. ე:c8+ ე:c8 24. მ:a7 ეc2 25. მb5 ე:a2 26. h3 ეa5. ყაიმი.

გუშინ კარპოვმა და კასპაროვმა ორმოცდამესამე პარტია გამართეს. 22-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიში უცვლელია — 5:1 (+5—1=37) ანატოლი კარპოვის სასარგებლოდ.

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ᲕᲠᲝᲪᲚᲐᲕᲘ. ხელბურთელთა ტრადიციულ ტურნირში „ბალტიკის თასზე" პირველი გამარჯვება მოიპოვეს სსრ კავშირის წარმომადგენლებმა. მათ დაამარცხეს შვეციის გუნდი 21:19 (10:10). სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: პოლონეთი II — გდრ 18:18 (10:7), პოლონეთი I — დანია 23:18 (13:8).

ᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲑᲘ

ᲝᲑᲔᲠᲰᲝᲤᲘ. გდრ-ის ამ ქალაქში ჩატარდა მსოფლიო თასისთვის მებრძოლ ბიატლონისტთა შეჯიბრების მეორე ეტაპი. 20 კილომეტრზე რბოლაში ადგილები განაწილდა ასე: 1. პეტერ ანგერერი (გფრ) — 1:07,30,1, 2. ფრანკ-პეტერ როჩუ (გდრ) — 1:08.54,2, 3. ანდრეი ზენკოვი (სსრ კავშირი) — 1:09.22,2. იური კაშკაროვი (სსრ კავშირი), რომელიც პირველი ეტაპის შემდეგ ლიდერობდა, ამჯერად მეათე იყო — 1:10.47,4.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ. კიევის „სტროიტელის" კალათბურთელები კორაჩის თასის გათამაშების მორიგ კალენდარულ მატჩში ადგილობრივ „ფენერბახჩეს" შეხვდნენ. მატჩი მძაფრი და დაძაბული ბრძოლით გამოირჩეოდა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ პირველ ტაიმში მასპინძლები 6 ქულით დაწინაურდნენ — 47:41. მაგრამ შესვენების შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა: „სტროიტელმა" უფრო მწვავედ წარმართა შეტევები და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც — 82:79.

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ. 8-10 თებერვალს აქ ჩატარდება ფრენბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩები (ქალთა შორის). სვერდლოვსკის „ურალოჩკასთან" ერთად საპატიო პრიზისთვის იბრძოლებენ „ნელსენი" (იტალია), „აკადემიკი" (ბულგარეთი) და „დინამო" (გდრ).

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ



ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕ მოთხილამურეთა IX საერთაშორისო შეჯიბრებისათვის გამოვიდა კარგად გაფორმებული 16-გვერდიანი პროგრამა. იგი საქართველოს კპ ცკ გამომცემლობის სტამბაში დაიბეჭდა. პროგრამა გვაცნობს ამ ტრადიციული ასპარეზობის კალენდარს, ლაურეატთა ვინაობას, მოგვითხრობს გუდაურზე, ბორის კახიანის პირველ მემორიალზე. აქვეა იუმორის გვერდი, რუბრიკა „ფოტოაპარატით ბაკურიანში" და სხვა საინტერესო მასალები. პროგრამის ტირაჟია 1000 ცალი.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲮᲐᲜᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡ ᲠᲘᲢᲛᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲔᲬᲕᲘᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲠᲘᲢᲛᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ, ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ „ᲠᲘᲢᲛ-ᲐᲔᲠᲝᲑᲘᲙ". ᲢᲐᲚᲘᲜᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲮᲕᲐᲚ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ. ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲒᲐᲠᲓᲐ „ᲠᲘᲢᲛ-ᲐᲔᲠᲝᲑᲘᲙᲘᲡ" ᲯᲒᲣᲤᲘᲡᲐ, ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲐᲡ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲔᲯᲚᲘᲡᲝ ᲪᲔᲙᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲔᲑᲘ ᲘᲣᲠᲐᲘᲢᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲡᲚᲐᲕ ᲜᲝᲠᲕᲔᲘᲨᲔᲑᲘ, ᲝᲚᲒᲐ ᲓᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲐᲜᲓᲣᲙᲘᲜᲔᲑᲘ, ᲚᲣᲓᲛᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕ ᲞᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘ, ᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲝᲢᲠ ᲩᲔᲒᲝᲢᲐᲠᲘᲝᲕᲔᲑᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲯᲚᲘᲡᲝ ᲪᲔᲙᲕᲘᲡ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ „ᲗᲔᲚᲐ".

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 19 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

ფიქრები ხმამაღლა

არადა, სტადიონი ხელის გაწვდენაზეა

ჩვენში მძლეოსნობის ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზად სპეციალისტები ბაზების სიმცირეს ასახელებენ. მართალია, რესპუბლიკაში მძლეოსნური ბაზები მართლაც არ გვხვდება ყოველ ფეხის ნაბიჯზე, მაგრამ რაც გვაქვს, იმას მაინც რომ ვიყენებდეთ ეფექტურად, შესაკეთებელს რომ დროზე შევაკეთებდეთ, ბაზებსაც რომ ისე ვტვირთავდეთ, როგორც საჭიროა, საქმეს უსაუთოდ ეშველებოდა.

სამოციანი წლების დასაწყისში ლენინის სახელობის სტადიონზე „მძლეოსნური ცხოვრება", როგორც იტყვიან, დუღდა და გადმოდუღდა. 1959 წელს იქ გაიხსნა სპორტული სკოლა-ინტერნატი, რომლის 320 მოსწავლიდან 120 მძლეოსანი იყო. საქართველოს ყველა კუთხეში შეკრებილ ნიჭიერ ბავშვებს ავარჯიშებდნენ ცნობილი მწვრთნელები: ბორის ტახტაროვი, ლევან სანაძე, შალვა კილაძე, ვიქტორ ვდოვინი, ნადეჟდა დვალიშვილი, გივი ნადირაშვილი და სხვები. მაშინ ჩვენს მძლეოსნობას ასე არ უჭირდა მაგრამ მერე ეს წყარო თითქმის დაიშრიტა: ინტერნატი გლდანში გადაიტანეს, შენობაში კი ფიზკულტურის ტექნიკუმმა და ფეხბურთელებმა დადეს ბინა. მართალია, სტადიონი სტადიონად დარჩა, იქ ორი მძლეოსნური სკოლაც არის (განათლების სამინისტროსი და ქალაქის განათლების სამმართველოსი), მაგრამ ის „ძველი დრო" მხოლოდ ტკბილად მოსაგონრად დაგვრჩა. ახლა სტადიონზე დღეში ერთხელ მხოლოდ ქალაქში მცხოვრები სპორტსმენები დადიან სავარჯიშოდ. ბევრმა კარგმა სპეციალისტმა იქიდან ფეხი ამოიკვეთა. გლდანის რესპუბლიკურ სპორტულ სკოლა-ინტერნატშიც იკლო პერსპექტიულ მძლეოსანთა ნაკადმა: ყველა მშობელს როდი უნდა ბავშვი ინტერნატში გაგზავნოს. თბილისში მცხოვრებ მწვრთნელებს, მეტი რომ არა ვთქვათ, არ ეხალისებოდათ (ზოგი ვერც ასწრებდა) შორს სიარული, ერთი სიტყვით, მოხერხებულ ადგილას — ქალაქის ცენტრში მდებარე შესანიშნავი მძლეოსნური ცენტრი დავკარგეთ. არადა, როგორც უკანასკნელი წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, ბევრმა მოკავშირე რესპუბლიკამ მძლეოსნობაში წინსვლას სწორედ ასეთი ცენტრების შექმნით მიაღწია.

გავიხსენოთ ლიტვის მაგალითი: ოცი წლის წინათ იქ მძლეოსნობის უკან დახევით შეფიქრიანებული სპეციალისტები მდგომარეობის გამოსასწორებლად, პირველ ყოვლისა, ისევ მძლეოსნური ცენტრების ჩამოყალიბებას შეუდგნენ, ხოლო რას მიაღწიეს, ეს ყველამ კარგად იცის. რესპუბლიკის მძლეოსნებმა (ლიტვის მოსახლეობა 3,5 მილიონზე ნაკლებია) საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე 638 ქულა მოაგროვეს და VIII ადგილი დაიკავეს (ჩვენ 64 ქულით მე-16 ადგილზე აღმოვჩნდით). ტაშკენტში, მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადაზე, ჩვენი მეტოქეები კვლავ მე-8 ადგილზე გავიდნენ (789 ქულა). საქართველოს წარმომადგენელთა შედეგი გემახსოვრებათ — 301 ქულა და მე-12 ადგილი. ვილნიუსში, სადაც 514 000 ადამიანი ცხოვრობს, ორი „წმინდა" მძლეოსნური სტადიონია 400-მეტრიანი ბილიკებით, ჩვენთან კი — არც ერთი. რატომ არ შეიძლება მთლიანად მძლეოსნებს გადასცენ ლენინის სახელობის სტადიონი? ამას რაღა უშლის ხელს? მით უმეტეს, რომ არსებობს საქართველოს სპორტკომიტეტის 1982 წლის 2 სექტემბრის დადგენილება (№ 88). თანაც 35-ე საფეხბურთო სკოლა უკვე გადავიდა ახალ შენობაში. ახლა საჭიროა ფიზკულ ტურის ტექნიკუმისთვისაც გამ იძებნოს ადგილი. გამოთავისუფ ლებულ ფართობზე კი უამრავი რ **შეიძლება გაკეთდეს:** მოეწყოს ა დგენითი ცენტრი, საცხოვრებე სულ ცოტა 120 მძლეოსნისთვ შენობაში არის საკმაოდ მოზრ ილი სასადილოც, ჩვენი მტყორ ცნელებიც კარგად მოეწყობა აღარ მოუწევთ აქეთ-იქით სირბი და სავარჯიშოდ ადგილის ძებნა — მინდორზე მშვენიერი სტყორც სექტორია. ამას დაუმატეთ ის რომ ლენინის სტადიონზე სარბე ბილიკები გადახურულია და იქ ვ რჯიში მთელი წლის განმავლობა შეიძლება. ერთი სიტყვით, სტ დიონს ბრწყინვალე პერსპექტ აქვს. სპორტში მომუშავე მეცნ ერებსა და მწვრთნელებს შეუ ლიათ ნამდვილ შემოქმედებით ლ ბორატორიად გადააქციონ იგი.

თუ ასე მოხდა, საქართველო მძლეოსნებს შესანიშნავი ბაზა ექ ნებათ დასაოსტატებლად.

გიორგი ჩოჩიშვილ

ჩვენ ყველას გვყოლია საყვარელი მასწავლებელი, ისეთი, დიდი ხნით ან სამუდამოდ რომ ჩაგვრჩენია ხსოვნაში, ისეთი, ვისი ცხოვრებაც სამაგალითოდ გვქცევია, ისეთი, ადამიანობისა და კაცობის საზომად რომ მიგვიჩნევია...

ასეთი მასწავლებელი იყო აკაკი კუტივაძე; ახლაც ასეთი ახსოვთ მის მოწაფეებს.

მშვიდი, დარბაისლური იერი, ჭარმაგი კაცის მიხრა-მოხრა და სიტყვა-პასუხი, ბუნებრივი უბრალოება და კეთილშობილება...

ასეთი მოვიდა რედაქციაში. სულ თავის მოწაფეებზე ლაპარაკობდა, მასახელსხო, რამდენჯერმე თქვა.

სკოლაში მათემატიკას ასწავლიდა. არაერთხელ გაგვიგონია, მათემატიკის სწავლას განსაკუთრებული ალღო და ნიჭი სჭირდებაო. იქნებ ზუსტად ასე არ არის, მაგრამ რომ არც მთლად უამისობაა, ესეც ფაქტია.

გულშემატკივრის კუთხე

ვინ მიიღებს ესტაფეტას

— ბედნიერებაა, როცა ბავშვი ფრიადოსანია და კარგ ადამიანადაც ყალიბდება. რასაკვირველია, კარგი სწავლა და კარგი ადამიანობა სრულებით არ უშლის ხელს ერთმანეთს, მაგრამ არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, უთუოდ მეორეს ვამჯობინებ. მიმაჩნია, რომ ეს უნდა იყოს ყველა მასწავლებლის მიზანიც და ამოსავალიც — ჩვენი ვალია პირველ ყოვლისა კაცებად, ნამდვილ მოქალაქეებად, მამულიშვილებად გავზარდოთ ბავშვები და, თუ ამას ვერ ვახერხებთ, მაშინ პედაგოგის სახელსაც უნდა შეველიოთ. ერთი საგულისხმო მომენტიც არის: ერს ჯანსაღი, ძლიერი ახალგაზრდობა სჭირდება და ამაზე ზრუნვა მშობლებთან ერთად მასწავლებლის ვალიცაა. სამწუხაროდ, ხშირად გამიგონია, მავანი და მავანი მასწავლებელი ლიტერატურის, ფიზიკის, უცხოენის თუ გეოგრაფიის გაკვეთილს ფიზკულტურის ხარჯზე ატარებსო. ის დრო, რაც ჩვენს სკოლებში ფიზაღზრდას ეთმობა, ვგონებ, ისედაც არ არის საკმარისი და მისი ხელოვნურად შემცირება, მეტი რომ არ ვთქვა, დანაშაულია.

სულ ახალგაზრდამ დაიწყო პედაგოგობა. სკოლაში მუშაობას შარშან დაანება თავი, წლეულს კი ოთხმოცი შეუსრულდება. ადვილი წარმოსადგენია, რამდენმა ბავშვმა გაიარა მის ხელში.

— ზოგი, რაც სკოლა დაამთავრა, აღარც მინახავს, სახე და გვარი კი ყველასი მახსოვს, ბევრი ისეთი გამოვიდა, ცამ და ქვეყანამ გაიცნო. თქვენ ალბათ სპორტსმენები უფრო გაინტერესებთ. კი ბატონო... გურამ სალარაძე, რევაზ ცირეკიძე, თამაზ ჩიხლაძე, ოთარ კორღალიძე... მათი არც ერთი შეჯიბრება არ გამიცდენია არც მაშინ, ბავშვობაში, არც მერე, სახელი რომ გაითქვეს. ნამდვილ სპორტსმენთა შეჯიბრებას კი არა, უბრალოდ, კლასი კლასს რომ ეჯიბრებოდა და სკოლა სკოლას, იმასაც ვესწრებოდი — გარდა იმისა, რომ მაინტერესებდა, ვიცი, რას ნიშნავს ბავშვისთვის მასწავლებლის მისვლა და ამ სიხარულს როგორ მოვაკლებდი...

— ახლა თუ ესწრებით შეჯიბრებებს? — ვეკითხები ბატონ აკაკის.

— ფეხბურთს და კალათბურთს თითქმის არ ვაცდენ, ოღონდ თუ შეუძლოდ ვარ, ტელევიზორს ვჯერდები. თუმცა, როგორც უნდა ვიყო, დუბლების თამაშზე მაინც წავალ...

დუბლების თამაშზე მაინც წავალო. რა გასაკვირია! მომავალ თაობაზე ზრუნვა და ფიქრი მისი მოვალეობად ქცეული პროფესიაა და ამიტომაც განსაკუთრებით აინტერესებს, ვინ მიიღებს ხვალ ესტაფეტას.

ნანა ჯოხარიძე.

ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი აკაკი კუტივაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ნოდარ წინამძღვრიშვილი და სხვებ

მოსკოვში, ცსკა-ს ძალოსნობის სასახლეში დამთავრდა შეიარაღებული ძალების ახალგაზრდა სამბისტთა საკავშირო პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 140-მდე ათლეტი, მათ შორის იყვნენ ჭაბუკთა და იუნიორთა საკავშირო პირველობებში გამარჯვებული სამბისტები.

წარმატებით იასპარეზა მოსკოვის გუნდმა — ოთხი ახალგაზრდა სპორტსმენი ტურნირის ლაურეატი გახდა. სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა ფინალურმა შეხვედრამ 82 კგ წონით კატეგორიაში. აქ გამარჯვებისთვის იბრძოდნენ მოსკოველი იგორ ბორისოვი და თბილისელი ნოდარ წინამძღვრიშვილ მოსკოველის გამუდმებულ შეტევებ წინამძღვრიშვილმა საიმედო დაცვ და ზუსტი კონტრშეტევები დაუპ რისპირა. თბილისელის ტაქტიკა უ რო პრაქტიკული და საიმედო გამ დგა. ნოდარ წინამძღვრიშვილმა მ იგო ეს შეხვედრა და პირველი ად გილი დაისაკუთრა.

სხვა წონით კატეგორიებში ჩემ პიონები გახდნენ: ბაქოელი ი. აგა ევი, მოსკოველები — ს. პოსპ ლოვი, ს. პერშინი, ე. პეჩუროვი დ ს. ტიალინი, პერმელი ო. მიხეევ მაიკოპელი დ. ლიფარიძე, ლიპეც კელი ვ. ბარანოვი და სვერდლოვ სკელი ი. ბოლსუნოვი.

ოთარ მჭედლიშვილი მეხუთე ადგილზეა

ჩვენ უკვე გაუწყეთ, რომ მოსკოვში, კრილატსკოეს ოლიმპიურ ტრეკზე მიმდინარეობს ზამთრის საკავშირო პირველობა ველოსპორტში. გაუწყეთ ისიც, რომ 1000 მეტრზე გიტში პირველი ადგილი კუიბიშეველმა ა. სოროკინმა დაიკავა — 1.05,58.

ბრძოლა ამ სახეობაში საინტერესო და დაძაბული გამოდგა. პირველ ადგილზე გასვლის რეალური შანსი ჰქონდათ გამოცდილ დინამოელს კ. ხრაბცოვს, არმიელ ა. პანფილოვს, უკრაინელ ი. მაკაროვს და თბილისელ ო. მჭედლიშვილს, მაგრამ მათ იმედებს ცივი წყალი გადაასხა 24 წლის კუიბიშეველმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ალექსეი სოროკინმა. მისი შედეგი ერთობ დამაჯერებელი იყო.

წარმატებით იასპარეზა ოთარ მჭედლიშვილმაც. მის მიერ დაკ ვებული V ადგილი და შედეგი — 1.07,18 იმის ნიშანია, რომ ქართვ ლი ველოსიპედისტი კარგად ი ყებს სეზონს.

გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში საპრიზო ადგილები ას განაწილდა: 1. ა. კრასნოვი—4.38,92 2. ვ. ეკიმოვი — 4.38,98, 3. მ. სვე შნიკოვი (ყველა — ლენინგრადი)— დაეწია მეტოქეს. ამავე სახეობაშ გუნდური ასპარეზობა ლენინგრა დელებმა მოიგეს — 4.15,60 (მანაკოვი, ა. კრასნოვი, მ. სვეშნ კოვი და ვ. ეკიმოვი).

სპრინტერთა შეჯიბრებაში გამო ვლინდნენ ნახევარფინალისტებ სსრ კავშირის მრავალგზის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი კოპილოვი ავადმყოფობის გამო გ მოეთიშა ასპარეზობას.

ერთპიროვნულად ლიდერობს რევაზ დადიანი

ცხინვალში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 45-ე ჩემპიონატის შესარჩევი მასობრივი ტურნირი (88 მონაწილე, შვეიცარიული სისტემით, 13 ტურად).

5 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს რეზო დადიანი (სოხუმი) — 5 ქულა. მას კვალში მიჰყვებიან ივანე სიფრაშვილი (სიღნაღი) — 4,5, ოსტატი ციალა ქას შვილი (გორი), გიორგი ბიბილაშვ ლი (რუსთავი), გოჩა ტყებუჩავ (ცხაკაია), ხვიჩა სუპატაშვილი (ქ თაისი), ამირან ბერძენიშვილი (ჩ ხატაური), ალენ კოროევი (ცხი ვალი) და ნიკო ლექვეიშვილი (ს მტრედია) — 4-4.

დაწინაურდა იოსელიანი

როგორც იცით, იუგოსლავიის ქალაქ იაიცეში მიმდინარეობს ქალთა ტრადიციული, IV საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 14 მოჭადრაკე მონაწილეობს; მეცხრე ტურში ნანა იოსელიანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა იუგოსლაველ ზორიცა ნიკოლინთან და 7 ქულით დაწინაურდა. მას კვალში მიჰყვება მეორე საბჭოთა მოჭადრაკე ირინა ლევიტინა, რომელსაც 6,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

მკითხველი — გაზეთი

შესაძლებელია თუ არა, საბჭოთა სპორტსმენი გახდეს ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი და თუ ვინმე გამხდარა, იქნებ დაგვისახელოთ ზოგიერთი მათგანის გვარი?

ნანა ტაბიძე,

თბილისი.

— პირველი საბჭოთა სპორტსმენი, რომელმაც მოიპოვა აშშ-ის ჩემპიონის ტიტული, გახლდათ ცნობილი რუსი მოჭიდავე ივანე პოდდუბნი. 1925 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატში მან პირველი ადგილი დაიკავა. პოდდუბნი მაშინ 55 წლისა იყო.

სკვო-ველის ოლიმპიური თამაშების წინ გაიმართა აშშ-ის ღია ჩემპიონატი სათხილამურო რბოლებში. 15 კილომეტრზე რბენა მოიგო პაველ კოლჩინმა, ხოლო ორჭიდელთა ასპარეზობა — დიმიტრი კოჩკინმა. ორივე სპორტსმენს მიენიჭა აშშ-ის ჩემპიონის სახელი.

1961 წლიდან მოყოლებული საბჭოთა მძლეოსნები სისტემატურად მონაწილეობდნენ აშშ-ის ზამთრის ჩემპიონატში. ვალერი ბრუმელს ამ შეჯიბრებებში სამი ოქროს მედალი აქვს მიღებული, იგორ ტერ-ოვანესიანს — ორი, თამარა პრესს, ტატიანა ტალიშევას, ვალენტინ გავრილოვს — თითოთითო.

საინტერესოა, რომ ბრუმელი აშშ-ის ჩემპიონი უფრო ადრე გახდა, ვიდრე საბჭოთა კავშირისა.

„მერანი" №2

გამოვიდა „ლელოს" საჭადრაკო დამატება „მერანის" მე-2 ნომერი.

ამ ნომერში მკითხველი გაეცნობა ჭადრაკის სამყაროს ბევრ სიახლეს, სახელდობრ, გიორგი მახარაძის წიგნის გამოსვლას ჭადრაკთან დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ურთიერთობის შესახებ, დიდოსტატთა ახალ საერთაშორისო რეიტინგებს 1985 წლის 1 იანვრისთვის, ფიდე-ს ახალ დიდოსტატებს, ინფორმაციას ჩერნიგოვში ქალთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირის დაწყების თაობაზე და სხვ.

გაზეთში დაბეჭდილია კარპოვ-კასპაროვის მატჩის ხუთი (ოცდამეჩვიდმეტე — ორმოცდამეერთე) პარტია, აგრეთვე მ. ტალისა და დ. ველიმიროვიჩის (იუგოსლავია) აზრი მოსკოვის მატჩის შესახებ.

მოსკოველი ოსტატის ოლეგ სტეცკოს სტატიით გაიხსნა ახალი რუბრიკა — „სადებიუტო თეორია", რომელსაც გაზეთის ორი გვერდი უკავია.

ამ ნომერში დასტამბულია აგრეთვე ინტერვიუ ზურაბ აზმაიფარაშვილთან, რომელსაც ამას წინათ საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა, მოგონება ჩვენი დროის გამოჩენილი ფიზიკოსის პეტრე კაპიცას ჭადრაკით გატაცების შესახებ, ნინო გურიელისა და ნონა გაფრინდაშვილის პარტია სოჭის ტურნირიდან, საქართველოს ჩემპიონთა (ვაჟთა შორის) სია და ბევრი სხვა.

კომპოზიციის განყოფილება მკითხველს სთავაზობს ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ოთარ ტაბიძის ახალ ამოცანას.

ვირჩევ იერიშს

პრემიერად თავისი ახალი რუბრიკისა — „სპორტულ შეხვედრათა კლუბი“ გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ“ ამა წლის 15 იანვარს დასტამბა ცნობილ ფეხბურთელ ოლეგ ბლოხინთან ინტერვიუ. ანალოგიური რუბრიკა ჩვენს გაზეთსაც აქვს, მაგრამ მხოლოდ ეს როდი გახლავთ მიზეზი ამ მასალის ჩვენეული პუბლიკაციისა: ინტერვიუში ოლეგ ბლოხინი ჩვენი ფეხბურთის მრავალ, რომ იტყვიან, საჭირბოროტო, საკითხს ეხება; მკითხველი, შესაძლოა, ყველაფერში არც დაეთანხმოს მას, მაგრამ თუნდაც ეს სადავო, სუბიექტური მოსაზრებანი, ნაკარნახევი საბჭოთა ფეხბურთის ინტერესებით და გამოთქმული გულწრფელად, ჩვენი აზრით, „ლელოს“ მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება.

მოძრაობის მარეგულირებლები თეთრი „ჟიგულის“ მძღოლს შორიდანვე ცნობდნენ და, დაგვინახავდნენ თუ არა, პატივისცემის ნიშნად მაშინვე ქუდთან მიიტანდნენ ხელს. მაგრამ აი, ერთმა მაინც ჩასტვინა და კვერთხიც მბრძანებლურად დაგვიქნია... გავაჩერეთ.. კი გაგვიკვირდა — ჩვენს შოფერს თითქოს მოძრაობის წესები არ დაურღვევია...

— ფეხბურთზე წავისაუბრეთ, — აგვიხსნა ამ უეცარი შეჩერების „მიზეზი“ ოლეგ ბლოხინმა. — ასეა, კიევში ჩემთან სიარული არა ღირს...

● **როგორ ეგუებით პოპულარობას? — ვკითხეთ სახელგანთქმულ სპორტსმენს (განა შეგვეძლო არ გვეკითხა?!), როცა მის მყუდრო ბინაში სასაუბროდ დავსხედით.**

— რამდენი წელიწადია ვეჩვევი და ჯერაც ვერ შევჩვევივარ... რაღაცნაირად მბოჭავს... რესტორანში ვერ ისადილებ კაცი. ერთხელ რომ ჭიქა შამპანურით დაგინახონ, გალოთებულაო, მეორე დღესვე მოსდებენ მთელ ქალაქს. ცოლთან ერთად კინოში ვერ შევსულვარ, — მესამე ზარის შემდეგ შევიპარებით ხოლმე, შუქი რომ ჩაქრება, თორემ ისე შეიძლება ავტოგრაფების მოყვარულთა იერიშს ვერ გავუმკლავდეთ.

● **ხომ არ გეჩვენებათ ზოგჯერ, რომ თქვენი ნაცნობობით მოამაყე თაყვანისმცემლები პატივს სცემენ არა ოლეგ ბლოხინს, როგორც კაცს, არამედ, სახელოვან ფეხბურთელს, რომელსაც ზურგზე მეთერთმეტე ნომერი აწერია?**

— სამწუხაროდ, ასეთი „თაყვანისმცემლები“ ყველა პოპულარული პიროვნების ირგვლივ ირევიან. ხდება, სხვის სახელს ამოფარებულნი ზოგჯერ ჩუმ-ჩუმად თავიანთ წვრილმან საქმეებსაც აკვარახჭინებენ. მაგრამ საკმარისია გაგიჭირდეს, — არა, გაგიჭირდეს კი არა, თუნდაც სულ მცირე უსიამოვნება შეგხვდეს კაცს და ის გუშინდელი თაყვანისმცემლები სადღაც უკვალოდ გაუჩინარდებიან ხოლმე. მე ცამეტი წელია უმაღლეს ლიგაში ვთამაშობ. ამ ხნის მანძილზე აღზევებაც ბევრი მახსოვს და მარცხიც, რასაც უმალ მოჰყვებოდა თაყვანისმცემელთა მოზღვავება და უკუქცევა — სიხარული და მწარე გულისტკივილი. მერე ვისწავლე ამ „მოფარფატე ძმაკაცების“ გამოცნობა და ახლა სათოფედ არ ვიკარებ.. ისე, მსიამოვნებს თქვენთან, ჟურნალისტებთან საუბარი. მადლობელი ვარ სტუმრობისთვის. ჩემზე ხშირად წერთ: ერთი საქაღალდე სავსე მაქვს გაზეთის ამონაჭრებით, მაგრამ ვკითხულობ ზოგიერთ წერილს და მე თვითონ ვერ გამირკვევია, სად ტყუილია, სად მართალი. მაშ გულშემატკივრებს რაღა მოვთხოვო?

● **ისე, მეტყობათ, პრესასთან და გულშემატკივრებთან „მტერმოყვრულად“ ხართ...**

— მოსკოვის რომელიმე გუნდში რომ ვთამაშობდე, მაშინ ასე ჰაიჰარად პრესაში ვერ „მათრევდნენ“. მართალი გითხრათ, მაინცდამაინც არც მიყვარს „ლუჟნიკებზე“ თამაში, თუნდაც ნაკრების შემადგენლობაში. დიქტორი იწყებს ჩვენს წარდგენას და ისე ვიძაბები, თითქოს ვიღაცამ სილა უნდა გამაწნას... გამომაცხადებენ და — ატყდება კიდეც სტვენა. რატომ? მაისურზე ხომ „სსრკ“-ი მაწერია — ამ ქვეყანაზე, თუ ვამაყობ, ამით ვამაყობ. მზად ვარ გამარჯვებას შევწირო ყველაფერი — ოსტატობა, ძალა, ჯანმრთელობაც კი. მაშ, ვის ვებრძვით? ვინ არის ჩემი მთავარი მეტოქე: მოედნის მოპირდაპირე მხარეს მდგომი, თუ ვინც ტრიბუნებზე მოკალათებულა? კარგი, ბატონო, იმ ვაი-გულშემატკივრებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მაგრამ როცა პრესის ტრიბუნიდანაც სტვენისმაგვარს მოისმენ, როგორ არ გეტკინება კაცს გული...

● **სერიოზული ბრალდებაა. შელახული თავმოყვარეობა ხომ არ გალაპარაკებთ?**

— მე ასე ვფიქრობ: თუ არ დამელაპარაკე, თუ სინამდვილე არ გაიგე, არც იმისი უფლება გაქვს, რომ ადგე და ასე უაპელაციოდ, საჯაროდ გამოთქვა შენი შეხედულება ჩემზე იქნება თუ რომელიმე სხვა მოთამაშეზე. არადა, ეყრდნობიან მხოლოდ მინდორზე ნანახს, ამით ხელმძღვანელობენ. ჩემი თამაშის შეფასება ავტომატურად იქცევა ჩემი ადამიანური თვისებების საზომად. ასე ყალიბდება სიმპათია თუ ანტიპათია. მერწმუნეთ მკითხველ-გულშემატკივართა წარმოდგენა უმეტესად ძალიან შორს დგას ჭეშმარიტებისაგან. აბა გაიხსენეთ, როცა ჩვენი ნაკრების ბიჭებზე წერდნენ, განა ხშირად ახერხებდნენ დაერღვიათ — კაცმა არ იცის, ვისგან დადგენილი და ერთხელ და სამუდამოდ ხელშეუხებლად მიჩნეული — ჩარჩოები? ხომ არ შეიძლება სულ ერთი ადამქამინდელი საზომით გვზომავდნენ — დედას ჰყავდა სამი შვილი, ორი ჭკვიანი და ერთიც ფეხბურთელი... დღეს ფეხბურთს საინტერესო, ინტელექტუალურად განვითარებული ხალხი თამაშობს. უფრო საინტერესო არ იქნება, თუ გამორჩეულ ოსტატს მკითხველს მწვანე გაზონის ფარგლებს მიღმაც დაანახვებთ?

● **ოლეგ, მოდით, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ. თქვენი სიტყვები კიდეც რომ ჭეშმარიტებასთან ახლო იყოს, მსოფლიოსა და ევროპის პირველობებში ნაკრების გამუდმებულ წარუმატებლობას, ჟურნალისტებს ვერ დავაბრალებთ.**

— რასაკვირველია, მიზეზი მარტო პრესა არ არის. ეს მიზეზები უფრო ღრმაა, უფრო რთული. ეგოისტობას ნუ დამწამებთ, თუ ისევ საკუთარ გამოცდილებას მოვიშველიებ. მთელი ჩემი ცხოვრება კიევის „დინამოში“ ვთამაშობ, ამ კლუბის პატრიოტი ვარ... ჩვენ მუდამ უმაღლეს ამოცანებს ვისახავთ როგორც ქვეყნის ჩემპიონატში, ისე თასის გათამაშებაში თუ საერთაშორისო ასპარეზზე. მოთამაშეებს უდიდესი ფიზიკური და მორალური პასუხისმგებლობა გვაწევს. ჩვენგან მოითხოვენ, გვენდობიან და ვალდებულნიც ვართ გავამართლოთ ეს ნდობა. ფეხბურთელები გამუდმებით ვგრძნობთ ტელეკამერის თვალთვალს, ყოველთვის პრესისა და გულშემატკივრების ყურადღების ცენტრში ვართ. ახლა ავიღოთ სხვა ქალაქი და სხვა გუნდი, თუნდაც მეორე ლიგისა: მათი პასუხისმგებლობა და ჩვენი განა ერთია? არადა, ამ ცხოვრებისეული ყოველგვარი სიკეთე მათ ჩვენზე მეტი აქვთ. ჰოდა, ჩემი ახალგაზრდა თანაკლუბელებიც ასე ფიქრობენ: რაღა მოვიკლათ თავი ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად, თუ სხვაგან ნაკლები ოფლისღვრით უკეთესად მოვეწყობითო? ვთქვათ, გავრიცხეთ გუნდიდან ვინმე ღლეტია და ლოთი. როგორ გგონიათ, „მგლის ბილეთით“ წავა? კიევის „დინამო“ მარკაა — სხვაგან სიხარულით ჩაიხუტებენ გულში. იმ ღლეტიამაც მშვენივრად იცის ეს. ჩვენც ვიცით. აი, ასე ირყვნებიან მოთამაშეები, აი, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელი გვეკარგება. საჭიროა გარდაიქმნას ფეხბურთის მთელი საკანონმდებლო საფუძველი, ხოლო თვით ფეხბურთელებს ფსიქოლოგია უნდა შევუცვალოთ. სანამ უმაღლეს ლიგაში თამაშობენ, ფეხბურთი მათთვის მხოლოდ თავის შესაქცევარი რამ ან მატერიალური კეთილდღეობის წყარო კი არ უნდა იყოს, არამედ ცხოვრების უპირველესი, მთავარი საქმე.

● **გიფიქრიათ თუ არა მომავალზე — რა იქნება შემდეგ, ფეხბურთის მერე? ხშირად დიდი სარბიელიდან წასული სპორტსმენი იძულებულია ლამის ყველაფერი თავიდან დაიწყოს...**

— მე ფიზკულტურის ინსტიტუტი დავამთავრე. ასე რომ, არჩეული გეზისათვის არ გადამიხვევია: მწვრთნელის საქმიანობა სპორტული ცხოვრებისაგან განუყოფელია და ჩემი მომავალი პროფესიაც სპორტთან იქნება დაკავშირებული. მაგრამ პრობლემა, რომელსაც თქვენ ახლა შეეხეთ, მართლაც უაღრესად სერიოზულია. რამდენმა სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა, მწვანე მინდორზე რომ ოსტატური, ჭკვიანური თამაშით და გამბედაობით გამოირჩეოდა, ცხოვრებაში თავისი ადგილი ვერ იპოვა. ზოგიერთმა სულაც ხელი ჩაიქნია, ფარ-ხმალი დაყარა. შემძლო გამეხსენებინა ის ბიჭებიც, ერთ დროს ნაკრებშიც რომ ბრწყინავდნენ, მაგრამ ეს მათთვისაც მტკივნეული იქნებოდა და გულშემატკივრებისთვისაც. ადვილი არ გახლავთ დიდებისა და საყოველთაო პატივისცემის შემდეგ უჩინარი ცხოვრებით იცხოვრო. აქ, პირველ ყოვლისა, ნებისყოფის სიმტკიცეა საჭირო. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვთქვათ უარი ჩამოყალიბებულ ჩვევებზე. ეს მტკივნეული პროცესი გარდაუვალია. დიდი სარბიელიდან წასვლის აუცილებლობა მეხივით არ უნდა დაგვატყდეს თავს, არ უნდა დაგვაბნიოს. ამისთვის ადრევე უნდა შევემზადოთ შინაგანად. მეც უკვე ვემზადები ამ გარდუვალი ნაბიჯისთვის.

წარმოდგენაც კი მიჭირს: თითქმის ოცდაორი წელია ფეხბურთს ვთამაშობ, ათი წლიდან. ქანცს მაცლის ამდენი მგზავრობა, ფრენა. ძალიან მიჭირს ოჯახს მოცილება — წელიწადში სამასი, სამას ოცდაათი დღე გარე-გარე ყოფნა.

● **ამდენი? შეუძლებელია!**

— ამაზე ადვილი რა არის, გამოვითვალოთ!

გამოვითვალეთ და სამას ოცი გამოვიდა.

● **საერთაშორისო მატჩების შემდეგ, ალბათ, განსაკუთრებით გიჭირთ.**

— ყველაზე გულის გამაწვრილებელია ხანგრძლივი საწვრთნელი შეკრებები, როცა რეჟიმი ყველა მოთამაშისთვის ერთია — ცხრამეტი წლის ბიჭებისთვისაც, პირველად რომ მოხვდნენ ნაკრების ან „დინამოს“ შემადგენლობაში, და გამოცდილი ფეხბურთელებისთვისაც, გუნდში რომ რამდენიმე ასეული მატჩი უთამაშიათ. სწორად გამიგეთ: არავითარ შეღავათს არ მოვითხოვ, მაგრამ სხვადასხვა ასაკის ფეხბურთელთა მიმართ მიდგომაც სხვადასხვაგვარი უნდა იყოს.

● **ცხადია, ადვილი არ არის ამდენი წელი ერთსა და იმავე გარემოცვაში... თქვენ გბეზრდებათ და გვაპატიეთ, ალბათ, თქვენც ბეზრდებით სხვებს... ხანდახან მივლინებაში წავსულვართ ხუთი-ექვსი დღით რომელიმე ჯგუფთან ერთად და მაშინაც კი, მეხუთე-მეექვსე დღეს, რა ხალხში მოვხვდით, გულში გაგკრავს ხოლმე კაცს.**

— მაღალფარდოვნებაში ნუ ჩამომართმევთ — ფეხბურთში აუცილებელია შენი სურვილები დაუმორჩილო საქმეს, რომელსაც ემსახურები. თუკი გამოხვედი მინდორზე, ითამაშე კიდეც. დაივიწყე, მოგწონს თუ არ მოგწონს პარტნიორები. შენ მათთან ერთად თამაშობ საყვარელ თამაშს და აქ ყოველგვარ „ვეწყობი-ვერ ვეწყობიზე“ მაღლა უნდა დადგე. გფრ-ის სახელგანთქმული ნაკრების წევრები ბექენბაუერი და ბრაიტნერი ცხოვრებაში, რომ იტყვიან, დანასისხლად იყვნენ, მაგრამ მინდორზე ტყუპისცალებივით უგებდნენ ერთმანეთს.

● **მოედანზე თქვენს შემხედვარეს ასე გვგონია, რომ თავდავიწყებით თამაშობთ — არა მარტო გადატანითი, არამედ პირდაპირი აზრითაც: გაგიწყდებათ კონტროლი საკუთარი თავისა. ხომ არ უშლის ეს ხელს ფეხბურთს, ხომ არ აღიზიანებს თქვენს პარტნიორებს?**

— მეტისმეტ ემოციურობას ჟურნალისტები მაყვედრიან, ფეხბურთელებს კი ესმით ჩემი. მათ იციან, რას ეწირება ჩვენი ნერვები და ძალა. მინდორზე კი... მინდორზე თამაშია და მე ვგრძნობ ამ თამაშს, მთლიანად ვემორჩილები მის რიტმს, მის ნებას. გინდა დამიჯერეთ, გინდა არა — მატჩის შემდეგ ხანდახან მართლაც მსაყვედურობენ ზედმეტი ჟესტიკულაციის გამო... განა პარტნიორები, არა — დედაჩემი, მამაჩემი, — ირინა — ჩემი მეუღლე. მთელი ოჯახი სპორტსმენები ვართ. არადა, მოედანზე მე სულ არ მახსოვს ჩემი ხელების შლა. ეტყობა, ეს ჭარბი ემოციის ბრალია, წყურვილისა — მოვიგოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს. 1982 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე გაფრენის წინ, თანაგუნდელებს წინასწარ მოვუხადე ბოდიში — შემინდეთ, თუ მოედანზე ზედმეტი რამ წამცდესმეთქი. თამაშის დროს ყოველთვის ხომ ვერ მოერევი თავს. ბიჭებმა გამიგეს.

● **რაკი თქვენ თვად ჩამოაგდეთ სიტყვა ჩემპიონატზე... არ გვინდოდა, თქვენთვის ალბათ ეს ჯერ კიდევ მოუშუშებელი ჭრილობა გაგვეღიზიანებინა. არადა, როგორი შესანიშნავი, იქნებ ერთადერთი შანსიც კი გქონდათ მსოფლიო პირველობაში თავის გამოჩენისა. რატომ გაუშვით ხელიდან?**

— აბა რა გითხრათ... ესპანეთში გამგზავრების წინ უცებ მივხვდი და — თავზარიც დამეცა: გუნდი ისეთ დღეშია, გამარჯვებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა. ბევრად უფრო გვიან გავიგე, რომ თურმე ჩვენი ამოცანა მეოთხედფინალში გასვლა ყოფილა. არავითარ ნახევარფინალზე და, მით უმეტეს, ფინალზე ესპანეთში გაფრენის წინ ლაპარაკიც არ გვქონია. ჩემპიონატზე მე ჩემთვის უჩვეულო ფუნქციას ვასრულებდი: ვაწოდებდი ყველა საჯარიმოს, ყველა კუთხურს. ვფიქრობ, ეს სწორი არ გახლდათ, მაგრამ ამას მოითხოვდა ხელმძღვანელობა, ამას მოითხოვდა ერთბაშად სამი მწვრთნელი. პრინციპი ერთი იყო: „აბა, მიდი...“ ესპანეთში მაინცდამაინც ცუდად არ მითამაშია. ისე, თუ გსმენიათ ოდესმე, რომ სამი სხვადასხვა შეხედულების მწვრთნელს ნაკრების მომზადებაში რამე სახეირო გამოსვლოდეს? არც მე მსმენია.

● **ესპანეთის ჩემპიონატის შემდეგ უკვე ორი წელი გაფრინდა თვალსა და ხელს შუა, ნაკრების შემადგენლობა კი დიდად არ შეცვლილა. თქვენ რომ მწვრთნელი იყოთ, ვის მიიწვევდით დღეს მთავარ გუნდში?**

— თქვენ ვის მიიწვევდით? მეც ძალიან მაინტერესებს. აიღეთ, მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ნორვეგიაში. ახალბედებიდან მე ერთადერთ მოთამაშეს — ლიტოვჩენკოს გამოვყოფდი.

● **ჰგავს თუ არა დღევანდელი ფეხბურთი ათი წლის წინანდელს? თქვენზე უკეთ ვის შეუძლია მათი შედარება!**

— დღევანდელი ფეხბურთი უფრო სწრაფია. ტექნიკური ილეთების შესრულება, ჩემი აზრით, მეტ სიმკვირცხლეს მოითხოვს, ვიდრე, ვთქვათ, ათი-თორმეტი წლის წინ. დღეს, თუ გინდა ტაქტიკაში წარმატებას მიაღწიო, უნდა შეგეძლოს გადაწყვეტილების ელვის სისწრაფით მიღება... ახლა უკვე ფეხბურთში წარმატებას მხოლოდ დიდი ინტელექტის მქონე მოთამაშეები აღწევენ, სწორედ ინტელექტის წყალობით აზროვნებენ ისინი სხარტად, მოქმედებენ გაბედულად. ფიზიკურმა კონდიციებმა კი უკვე მიაღწია ზღვარს — მეტი ალბათ შეუძლებელია. მაგრამ, ამავე დროს, ფეხბურთი გაუხეშდა, გამკაცრდა. მცველები ლამის ნადირობენ ჩვენზე. ტრავმას მხოლოდ წლების მანძილზე გამომუშავებული ინტუიცია თუ გადაგარჩენს: გრძნობ, რომ აი, ახლა, მოგცელავენ და უნდა უგანო... ასე რომ არ იყოს, დიდი ხანია ბურთს გამოვემშვიდობებოდი.

● **მაგრამ, ალბათ, მარტო ამის წყალობით როდი ინარჩუნებთ ასე ხანგრძლივად სპორტულ ფორმას... უკვე ზედიზედ ცამეტი წელია ასეთ დაუნდობელ ფეხბურთშიც მტკიცედ დგახართ ორივე ფეხზე და წლიდან წლამდე სტაბილურად თამაშობთ. ამ სეზონშიც ათი ბურთი გაიტანეთ საკავშირო პირველობის მატჩებში — თქვენი თანაგუნდელებიდან ეს საუკეთესო შედეგია.**

— მუდამ ვცდილობდი ჩემი თავისთვის კონკრეტული მიზანი დამესახა. ჭაბუკობაში ჩემი ოცნება „დინამოში“ მოხვედრა იყო, თუნდაც სათადარიგო შემადგენლობაში. მერე ძირითად შემადგენლობაზე დავიწყე ფიქრი, მერე ახალგაზრდულ ნაკრებზე, პირველ ნაკრებზე... არ გაგეცინოთ და — ყოველთვის მჯეროდა ჩემი სპორტული გენებისა. ბავშვობიდანვე ვგრძნობდი, რომ სპორტში რაღაცას მივაღწევდი. მივხვდი, ჩემგან მოთამაშე არ დადგებოდა, თუ ბუნებისგან საგანგებოდ ფეხბურთისთვის ნაბოძები თვისების — სისწრაფის განვითარებაზე არ ვიზრუნებდი. მე რომ მკითხოთ, ჩვენ სწორედ ბავშვობის ასაკში ვკარგავთ უამრავ ნიჭიერ ფეხბურთელს. როცა ვცდილობთ ყველა ერთ ყალიბში მოვაქციოთ.

● **თქვენ ამ მხრივ საყვედური არ გეთქმით.**

— მე ცხრამეტი წლისა ვთამაშობდი როგორც კლუბში, ისე ნაკრებ გუნდებში — ოლიმპიურში და ეროვნულში. მაგრამ საამისოდ აუცილებელია არა მარტო თვით ფეხბურთელის დაუზოგავი შრომა და ვარჯიში, არამედ მწვრთნელის გულისხმიერი დამოკიდებულებაც. შეიძლება დღემდე ვერც მეთამაშა, იმ შორეულ წლებში, ცხრამეტისა, ვინმეს მეც რომ საერთო წნეხში გავეტარებინე. იღბალი ჩემი, რომ თავის დროზე ალექსანდრე სევიდოვი ახალგაზრდა, ფიზიკურად ჯერ კიდევ მოუმაგრებელ ბიჭს, ამოსუნთქვის საშუალებას მაძლევდა. აი, ასე ეყრებოდა საძირკველი ჩემს სპორტულ დღეგრძელობას. მერე სცადეს ჩემი ჩაჭედვა რაღაც ჩარჩოებში, მაგრამ ადვილად გასაღუნი არ აღმოვჩნდი. ვიცი, რომ მინდორზე ანარქია დაუშვებელია, რომ მწვრთნელის მითითება წმიდათაწმიდაა ფეხბურთელისთვის, მაგრამ, თამაშის მოდელიდან გამომდინარე, ფეხბურთელს, განსაკუთრებით, თავდასხმელს, არ შეიძლება შემოქმედებითი ნაპერწკალი არ ჰქონდეს. სწორედ ამით იყვნენ და არიან ძლიერნი ყიფიანი, დასაევი, ჩივაძე, ფეხბურთელის შემოქმედებას მინდორზე გზა უნდა გაეხსნას, მაგრამ არა მგონია ამაში ყველა მწვრთნელი დამეთანხმოს. თუმცა, რა ვიცი, ეს მეტად ფაქიზი საკითხია.

(დასასრული იხ. მე-4 გვ.).

ვირჩევ იერიშს

(დასასრული)

● არ გეჩვენებათ ხანდახან, რომ ფეხბურთი მოგყირჭდათ? თქვენ ხომ ყველაფერს მიაღწიეთ, რაზეც კი შეიძლება ფეხბურთელმა იოცნებოს: თქვენ გეკუთვნით შედეგიანობის რეკორდი, იყავით ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, მთელი მსოფლიო შემოვლილი გაქვთ. დაგრჩათ კიდევ რაიმე მიუღწეველი?

— ქვეყნის ჩემპიონატში კიდევ შვიდი ბურთი უნდა გავიტანო და ორასს შევასრულებ. 193 გოლი — არც აქეთ არის, არც იქით. ამ პასუხს ელოდით? მე ამ შვიდი გოლის გარეშეც გამოვემშვიდობებოდი ფეხბურთს, მაგრამ ჯერ კიდევ მწყურია თამაში. ეტყობა, განშორების ჟამი ჯერ არ დამდგარა.

თუმცა, შვიდი ბურთი რა ბედენაა... უმთავრესი ის იქნება, რითაც შემეძლება დავეხმარო კიევის „დინამოს“, დავეხმარო ნაკრებს. ეს კია, რაც დრო გადის, სულ უფრო მიჭირს მინდორზე გამოსვლა. მაგრამ აქ ჩემი ფიზიკური მდგომარეობა არაფერ შუაშია. განა ასაკი მიშლის ხელს, არა. მე ის მაღიზიანებს, ზურგს უკან რომ წლების თვლას დამიწყებენ: უკვე ოცდაცამეტისაა, დაბერდაო. ჩემი აზრით, ამ ხალხს ერთი რამ ავიწყდება. მოთამაშეთა შორის მუდამ უნდა იყოს ვინმე ისეთი, ვინც ყველაზე რთულ, უიმედო სიტუაციაშიც კი მკლავებს არ ჩამოყრის და ვინც თავის სათქმელს ბოლოს და ბოლოს მაინც იტყვის; ვისაც ეყოფა ძალა, გამოცდილება, ავტორიტეტი, რომ თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობაც, რისკიც, საერთო სატკივარიც. ასეთი ფეხბურთელები იყვნენ ბეკენბაუერი, ჰოლანდიელი კრუიფი, პოლონელი ლატო. ეს დაბრძენებული ფეხბურთელები რომ არა, მათი გუნდები თავის დღეში მსოფლიო პირველობათა ლიდერები ვერ გახდებოდნენ. კარგად მახსოვს ჩემი თავი ცხრამეტი წლისა — როგორ მიხაროდა ძირითად შემადგენლობაში თამაში! მაგრამ რა ხეირი იყო ჩემგან, კაცმა რომ თქვას? პეპელასავით დავფარფატებდი აქეთ-იქით. ეს იყო და ეს.

დადგა 1982 წელი. ესპანეთი, მსოფლიო ჩემპიონატი. და მაშინ მე, უკვე ჩამოყალიბებული, ოცდაათი წლის სპორტსმენი, მივხვდი, რომ ფეხბურთში ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცი, ჯერ კიდევ ვერ მივაღწიე ყველაფერს, რასაც ველტვოდი. წინ რაღაა? რომ დავფიქრდები, ვგრძნობ: შემიძლია თამაში. მექსიკის ჩემპიონატის წელს ოცდათოთხმეტისა ვიქნები. მინდა იქ თამაში? მინდა რომელია!

● ოჯახის წევრებს ხომ არაფერი ექნებათ ამის საწინააღმდეგო?

— მათი მხარდაჭერა რომ არა, ალბათ ფეხბურთს აქამდეც გამოვემშვიდობებოდი. ჩემმა მეუღლემ კარგად იცის, რას ნიშნავს იყო მსოფლიო ჩემპიონი და ჩემს მისწრაფებას ყოველნაირად მხარს უჭერს.

● თუ შეიძლება, წარუდგინეთ მკითხველს თქვენი მეუღლე.

— სიამოვნებით: ირინა დერიუგინა, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ორგზის აბსოლუტური მსოფლიო ჩემპიონი მხატვრულ ტანვარჯიშში, ამჟამად კიევის „სპარტაკისა“ და ჩვენი ირიშკას მწვრთნელი. ჩემი პატარა გოგონა — ირიშკა — წლინახევრისაა და, წარმოიდგინეთ, ისიც მხარს მიჭერს. რომ ჰკითხავენ, მამა რა ნომრით თამაშობსო, მაშინვე ორ თითს აბზეკს ხოლმე — მეთერთმეტე ნომრითო.

● თქვენი აზრით, მაინც რა მოსდის „დინამოს?“ ამ სეზონში კლუბი მეათე ადგილზეა: რაც თქვენ თამაშობთ, ამაზე დაბლა იგი არასოდეს დაშვებულა სატურნირო ცხრილში.

— მიზეზი ბევრია. მთავარი კი ის გახლავთ, რომ ზოგიერთ ფეხბურთელს ჯერ ვერ მიუღწევია კიევის „დინამოს“ დონისათვის. გვყავს თითქოს რიგიანი ბიჭები, მაგრამ ჯერჯერობით როგორც იტყვიან, თავს ზემოთ ძალა არ არის. მათ თავისი შესაძლებლობათა ზღვარი აქვთ... ასაკით უფროსმა მოთამაშეებმა კი უკვე ყველაფერი გაიღეს ფეხბურთისთვის, რისი გაღებაც შეეძლოთ.

● მაგრამ გუნდში ხომ გყავთ სხვა ფეხბურთელებიც. ვთქვათ, რატომ არის, რომ თქვენ მაინც გაგაქვთ ის თქვენი ათი გოლი, 1958 წელს დაბადებული რომელიმე ნიჭიერი ჭაბუკი კი სულ უფრო მეტ დროს ანდომებს ტრავმის მოშუშებას ან სათადარიგოთა სკამზე ზის?

— ამით მჟღავნდება საქმისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება. და ისიც, რომ წლების წინ ის ნიჭიერი „ჭაბუკი“, როგორც თქვენ ბრძანეთ, არასწორი რეჟიმით ცხოვრობდა. მე მწვრთნელის მეურვეობისა მაინცდამაინც არა მწამს. ვთქვათ მწვრთნელი გამოწმებს თერთმეტზე, რა აზრი აქვს ამას, თუ შენ თორმეტის ნახევარზე გამოთვრები? ფეხბურთელმა თავის თავს, პირველ ყოვლისა, თვითონ უნდა დაუწესოს კონტროლი.

● როცა საზღვარგარეთ ხართ, ალბათ თქვენთვის ექსკურსიები ეწყობა, მუზეუმებშიც დადიხართ. ერთი სიტყვით, შინ დაბრუნებულს ბევრი რამ გაქვთ მოსაყოლი...

— ექსკურსიები ეწყობა, როგორ არა. მაგრამ ჩვენი საქმე ისეთია, ზოგჯერ სტადიონისა და გასახდელის მეტს ვერაფერს ვნახავთ, ავტობუსის ფანჯრიდან თვალმოკრული რომელიმე ლამაზი მოედანი, რაიმე პატარა სცენა ქუჩაში... ეს არის და ეს. ვცდილობ რაღაც მაინც გამოვგლიჯო ამ ნაუცბადევ შთაბეჭდილებათა შფოთიან ნაკადს. ისე, მე ბედმა გამიღიმა: რამდენჯერმე მოვხვდი პარიზში. ლუვრის ნახვა ოცნებად მქონდა გადაქცეული და ვნახე კიდეც. გაბრუებული დავაბიჯებდი დარბაზებში — მიხაროდა, რომ საშუალება მომეცა თავისუფალი საათი გამომენახა. თუმცა ბევრი სხვა მუზეუმებსა და ექსკურსიებს ამჯობინებს.

● ოლეგ, თქვენ ფიზკულტურის მასწავლებელი ხართ, დიპლომიანი სპეციალისტი. საინტერესოა, როგორია თქვენი აზრი მშდ კომპლექსის შეჯიბრებებზე?

— შეჯიბრებები ძალიან მომწონს. ის სიყალბე კი, რაც ზოგჯერ ამ კომპლექსს ახლავს, მეზიზღება. მე მახსოვს მშდ კომპლექსის ოსტატთა ფინალური შეჯიბრებები „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. ეს ტურნირები მართლაც სასარგებლო და საჭიროა. მაგრამ ყოველივე ამის გვერდით ბევრი უპატიოსნობაც ხდება, ხშირია მიწერის შემთხვევები. ამას წინათ სამკერდე ნიშნის მისაღებად სავალდებულო ნორმატივებს გადავხედე და გაოცებული დავრჩი. მეც კი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მათგან ყველას ვერ დავძლევ. მაშ როგორ, რა მანქანებით ასრულებს ამ ნორმატივებს მილიონობით ჩემი თანატოლი?

● ახლა კი მადლობას მოგახსენებთ გულახდილი საუბრისათვის. დაე, ახალ, 1985 წელს საკუთარი ძალის რწმენამ და გულშემატკივართა მხარდაჭერამ ხელი შეუწყოს თქვენს წარმატებას.

— გმადლობთ. შეიძლება ჩემი პასუხები ზოგიერთ შეკითხვაზე თავის მართლებას ჰგავდა, მაგრამ მე არ მიცდია გამემართლებინა თავი, რაშიც მართალი არ ვიყავი. ცხოვრებაში პატიოსანი უნდა იყო. ამიტომ გითხარით ის, რასაც ვფიქრობდი.

საუბარი ჩაიწერეს
დ. არკადიევმა,
ნ. დოლგოპოლოვმა.

ნესტორ მუსასტიკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა ქართული სპორტის ვეტერანი, სკპ წევრი 1945 წლიდან, რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ცურვაში ნესტორ ნესტორის ძე მუსასტიკოვი.

ნესტორ მუსასტიკოვი დაიბადა 1912 წელს თბილისში. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს გაიტაცა სპორტმა და ცხოვრების ბოლომდე ამ სიყვარულის ერთგული დარჩა.

ჭაბუკი იყო, შრომაში რომ ჩაება — სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ინსტრუქტორად მუშაობდა საწყლოსნო სპორტში. 1931-1934 წლებში აფხაზეთში მუშაობს. 1935 წლიდან იგი სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებში მოღვაწეობს და საშუალო სკოლაში ფიზკულტურას ასწავლის.

1949 წელს დაუსწრებლად დაამთავრა ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტი და დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელად სპორტის საწყლოსნო სახეობებში. ამ თანამდებობაზე იმუშავა მან 1973 წლამდე, სანამ პენსიაზე გავიდოდა.

საქართველოში ცურვის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მას საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. 1973 წელს ნ. მუსასტიკოვი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ნესტორ მუსასტიკოვის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მეგობრებისა და აღზრდილების მეხსიერებაში.

საქართველოს სპორტკომიტეტი,
საწყლოსნო სახეობათა ფედერაციები.

გრანატკინის მემორიალზე

ლენინგრადის სპორტულ-საკონცერტო დახურულ კომპლექსში გრძელდება ვ. გრანატკინის მემორიალის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. გუშინ გაიმართა III ტურის მატჩები:

საფრანგეთი — გფრ 1:0.
პოლონეთი — ბელგია 1:1.
სსრ კავშირი-I — სსრ კავშირი-II 1:1.

„იუვენტუსმა“ დაამარცხა „ლივერპული“

ევროპის სუპერთასის გათამაშებაში ერთმანეთს ხვდებიან ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასისა და ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული კლუბები. მეტოქეები, ჩვეულებრივ, 2 მატჩს ატარებენ — საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე, მაგრამ მხარეთა საგანგებო მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა ახლანდელ პრეტენდენტებს — იტალიის „იუვენტუსს“ და ინგლისის „ლივერპულს“ მხოლოდ ერთხელ ეთამაშათ, თანაც იტალიის ქალაქ ტურინში, „იუვენტუსი“ კი სწორედ იქაური კლუბია.

მატჩი ჩატარდა უაღრესად რთულ კლიმატურ პირობებში, ორი დღე-ღამე განუწყვეტლივ თოვდა. სავარაუდო იყო, რომ შეხვედრას გადადებდნენ, მაგრამ მასპინძლებმა სტადიონი სანიმუშოდ მოამზადეს სათამაშოდ, თანაც მატჩს 50 ათასი მაყურებელი დაესწრო.

„იუვენტუსი“ იტალიის ეროვნულ ჩემპიონატში ახლა წარუმატებლად გამოდის, ამიტომ ფეხბურთელებს თავი არ დაუზოგავთ სუპერთასის საპატიო პრიზისთვის ბრძოლაში. გუნდს თითქმის მთელი თამაშის ბოლომდე ეპყრა უპირატესობა, პოლონელმა ფეხბურთელმა ბონეკმა, რომელიც „იუვენტუსში“ გამოდის, 2 ბურთი გაიტანა „ლივერპულის“ კარში და სუპერთასი ტურინელებმა დაისაკუთრეს — 2:0.

სურათზე: ზბიგნევ ბონეკი.

კალეიდოსკოპი

ბრაზილიელთა პრობლემები

საერთაშორისო სპორტულ პრესაში სულ ახლახან ცნობა გამოჩნდა იმის შესახებ, რომ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ დაითხოვა ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ედუ და მის ნაცვლად ამ პოსტზე მიიწვია ტელე სანტანა, რომელიც 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს ედგა სათავეში ამ გუნდს.

მაგრამ გამოირკვა, რომ საუდის არაბეთის საფეხბურთო კლუბის „ალ-ახლის“ ხელმძღვანელობა, სადაც ახლა ტელე სანტანა მუშაობს, უარზეა დაარღვიოს კონტრაქტი და სამშობლოში დაბრუნების უფლებას არ აძლევს ბრაზილიელ მწვრთნელს.

ტელე სანტანა „ალ-ახლიში“ იმაზე გაცილებით მეტ გასამრჯელოს იღებს, ვიდრე ბრაზილიაში მისცემენ, ამიტომ საუდის არაბეთის კლუბის ხელმძღვანელობა ერთგვარ მორალურ უფლებასაც ინარჩუნებს, როცა კონტრაქტის დარღვევაზე უარს ეუბნება ტელე სანტანას.

ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტმა ჟულიტე კოუტინიომ განაცხადა, რომ თუ ეს საკითხი დროზე არ მოგვარდა, იგი იძულებული იქნება ახალი კანდიდატი შეარჩიოს თავისი ქვეყნის ნაკრებისთვის.

ექვსი მონაწილე და თოთხმეტი მეთვალყურე

ვირგინიის კუნძულების (ბრიტანეთი) ჭადრაკის ფედერაცია ამ ტიპის ყველაზე მცირერიცხოვანი ორგანიზაციაა მსოფლიოში. იგი ჭადრაკის მხოლოდ ოც მოყვარულს აერთიანებს. ამის მიუხედავად, ვირგინიის კუნძულებმა საჭადრაკო ოლიმპიადაზე სრული გუნდი გამოიყვანა — ოთხი ძირითადი და ორი სათადარიგო მონაწილე. თავისი გუნდის თამაშს ინტერესით ადევნებდა თვალს შინ დარჩენილი თოთხმეტი მოჭადრაკე.

პლატინის სიმბოლური ნაკრები

მიშელ პლატინიმ, „ოქროს ბურთის“ ორგზის მფლობელმა (მანამდე ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად ორჯერ იყვნენ დასახელებული დი სტეფანო, ბეკენბაუერი, რუმენიგე და კიგანი, ხოლო სამჯერ ჰოლანდიელი კრუიფი), შეადგინა მსოფლიო ნაკრების საკუთარი ვარიანტი. აი, როგორ გამოიყურება ეს გუნდი: მეკარე — დასაევი (სსრ კავშირი), განაპირა მცველები — ჟუნიორი (ბრაზილია) და კაბრინი (იტალია), თავისუფალი მცველი — პასარელა (არგენტინა), სტოპერი — კარლ ჰაინც ფორსტერი (გფრ), ნახევარმცველები — ბრიგელი (გფრ), ფალკაო (ბრაზილია), ტიგანა (საფრანგეთი) და მარადონა (არგენტინა), თავდამსხმელები — რაში (ინგლისი) და რუმენიგე (გფრ).

ახალი ოლიმპიური აკადემია

იუგოსლავიის ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით წლეულს უნდა შეიქმნას ამ ქვეყნის ოლიმპიური აკადემია. მისი შტაბბინა სარაევოში მოეწყობა. აკადემიის პრეზიდენტად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რომელიმე წევრს (რა თქმა, უნდა იუგოსლაველს) აირჩევენ, საპატიო თავმჯდომარის პოსტზე კი უკვე დაამტკიცეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი.

კალეიდოსკოპი

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები 13 იანვარს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, მეორე ტირაჟებისა.

„სპორტლოტო 6 49“-დან: გაიყიდა 574 758 ბარათი. ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (13 ბარათი) მოგება 3887 მანეთია, ოთხისათვის (1146 ბარათი) — 45, სამისთვის (23442 ბარათი) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-დან: გაიყიდა 4.325 872 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (89 ბარათი) მოგება 2954 მანეთია, ოთხისთვის (4230 ბარათი) — 109, სამისთვის (95627 ბარათი) — 6.

მოგებული თანხის განაღდება შეგიძლიათ 24 იანვრიდან 24 თებერვლის ჩათვლით.

რედაქტორი ა. გოგელია.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს რედაქციის თანამშრომელს ლიანა სარალიძეს მამის

ალექსანდრე კაპიტონის ძე სარალიძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხომარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 06003